



ვარი ინტერვიუ კონფლიქტები კულტურა მსოფლიო სტატიები ფოტო რეკლამა

SEARCH HERE..

იო კონტაქტი

ExpressNews – ახალი ამბების სააგენტო » საზოგადოება » “ღია საზოგადოება”: მესტიაში ადგილობრივების საკუთრების უფლებები ირღვევა

“ღია საზოგადოება”: მესტიაში ადგილობრივების საკუთრების უფლებები ირღვევა

ვლისი 12th, 2011 02:17 PM | საზოგადოება



არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, დაბა მესტიაში ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრების უფლებები ირღვევა. აღნიშნული, კვლევა ფონდ “ღია საზოგადოება-საქართველოს” მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციებმა “მწვანე ალტერნატივამ”, “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ”, “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” და “საქართველოს რეგიონული მედია ასოციაციამ” დაბა მესტიის მოსახლეობის თხოვნით ჩაატარა.

დღის აუდიო ამბები

კვლევის თანახმად, დადგინდა, რომ დაბა მესტიაში საჯარო რეესტრი მოსახლეობას მამა-პაპულ სახნავ-სათიბ ნაკვეთებს არ ურეგისტრირებს. ასევე, პრობლემა აქვთ იმ მესტიელებს, რომელთა მიწის ნაკვეთებზე აეროპორტი თუ სხვა სახის კომუნიკაციები აშენდა და საკომპენსაციო თანხები არ მიუღიათ. კვლევამ ისიც აჩვენა, რომ ზოგიერთ მესტიელს მიწის ფართობები ჩამოერთვა.

“საიას” წარმომადგენლის კახა კოჭორიძის განცხადებით, მესტიელებს აღნიშნული სახნავ-სათესები საუკუნეების განმავლობაში კერძო საკუთრებაში ჰქონდათ. რაიმე გაუგებრობას ადგილობრივი მახვიმ აგვარებდა და დღეს საჯარო რეესტრის მიერ მოსახლეობისთვის მიწის ფართობების დაკანონების შეზღუდვა კანონდარღვევას წარმოადგენს.

ფონდ “ღია საზოგადოება-საქართველოს” დირექტორის ქეთი ხუციშვილის განცხადებით, აღნიშნული კვლევა იმ მხრივადაცაა მნიშვნელოვანი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები მოსახლეობას იურიდიული დახმარებასაც უწევენ.

დღის ფოტო გალერეა



Leave a Reply

Name (Required)

E-Mail (Required)